

# საქართველო



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბუქ-  
უბი სიფყაა, ცუდიუბით და ჭბრბით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯანბნბბაჟ უსბბაგლსია.

გაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 18-19 მაისი. 2019 წ. №98-99 (8764-8765) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru ფასი 60 თეთრი

ხვალ, 19 მაისს, ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადად უნდა დაანახვოს ჯერაც ძველცოდვებმოუნანიებელ, ბოროტმოქმედ ნაციონალთა ბანდას, რომ ამოდ ფაფხურობენ, რომ მათმა შავმა დრომ საბოლოოდ ჩაიარა და ხალხის გადაწყვეტილება ურყევია – ესენი აღარასოდეს არ უნდა მობრუნდნენ! საქართველომ უნდა იაროს წინ!



## ოჯახის სინდისა და ერის სინდისა!

თბილისში, საპატრიარქოს მიერ დაწესებული ოჯახის სინდისის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით გრანდიოზული მსვლელობა გაიმართა. სახალხო მსვლელობა, რომელიც რესპუბლიკის (ვარდების) მოედნიდან დაიწყო, სამების საკათედრო ტაძართან დასრულდა. აქ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა, ხალხი და სრულიად საქართველო დალოცა. მსვლელობა დასრულდა კონცერტით, რომელიც პარაკლისის შემდეგ გაიმართა.

ოჯახის სინდისის დღე 2014 წელს დაწესდა, 2013 წლის 17 მაისის მოვლენების ერთ წლისთავზე. 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღსანიშნავად გამოსულ სამოქალაქო აქტივისტებს, გარკვეული სასულიერო პირები და დაჯგუფებები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

**სანდრა ლაზიკას „აუშენებს“**  
თვითონ იკივლებს, ვაჟაქაჯი, გელია და ხატია დაკანოიკა ტაშს დასცხებან და აუენდება, აბა რას იზაბს! ④

**დავით გარეჯი: ვინ ცდილობს აზერბაიჯანელების და ქართველების გადამტყობას? ⑥**

**საქართველოს პრეზიდენტმა იური რატა ბათუმში მოიწვია**

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ესტონეთის პრემიერ-მინისტრი ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე მოიწვია, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავს ეძღვნება. პრეზიდენტმა ესტონეთის პრემიერი იური რატა ტალინში გამართული შეხვედრისას მოიწვია. ესტონური მხრიდან არსებობს მზაობა და ქართულ მხარეს აქვს მაღალი მოლოდინი, რომ კონფერენციას ესტონეთის ხელისუფლების წარმომადგენელიც დაესწრება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიხეილ ნინუას განცხადებით, ესტონეთი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერია. არჩევნების შედეგად ესტონეთში კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდა და საქართველომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მიიღო მხარდაჭერა ყველა იმ წამონყებაში, რასაც საქართველო ევროკავშირთან მიმართებაში ასორციელებს. შეხვედრისას საუბარი შეეხო ასევე სხვადასხვა სფეროში ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობას და განსაკუთრებული საზი გაეცხა განათლების მიმართულებით ესტონეთთან წარმატებულ ურთიერთობებს. არაერთი ქართველი სტუდენტი მაღალკვალიფიციურ განათლებას იღებს ესტონეთის უმაღლეს სასწავლებლებში. მიხეილ ნინუას განცხადებით, ასევე მივიღეთ მხარდაჭერა ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით თანამშრომლობის განვითარებასთან დაკავშირებით.

**პიტარცა ③ „მკვდარზე გვირგვინი“!**

რას შეეხება ე.წ. „გაერთიანებულ ოპოზიციას“, რომელთათვისაც სანდრა რულოვსი „მოკაშკაშე ვარსკვლავია“, უკვე პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ მათი ყოფნა ქართულ პოლიტიკაში მუსგად იგივე როლის მაგარებელია, რაც „მკვდარზე გვირგვინი“.

# ბათუმში მულტი-ფუნქციური კომპლექსის მშენებლობა იწყება

ბათუმში, 7 ჰექტარ ფართობზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ ინიცირებული ახალი მულტიფუნქციური საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა იწყება. პროექტი გულის მთავრობის მეთაურმა პირადად წარადგინა.


თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე კომპაროვის სკოლას, საერთო საცხოვრებელს, პროფესიული განათლების ცენტრს, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, სახელოვნებო სკოლებს, სპორტულ მოედნებსა და სარეკრეაციო სივრცეს გააერთიანებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ახალი მშენებლობის პროექტის განაცხადა, მთავრობის მიზანია, მსგავსი პროექტები საქართველოს ყველა კუთხეში განხორციელდეს, რათა ახალგაზრდებმა თავიანთი ნიჭისა და ცოდნის სრულფასოვანი რეალიზაცია შეძლონ.

„მე ძალიან ბევრი მოსაზრება

და მათ შორის უსაფუძვლო კრიტიკა მოვისმინე იმ საკითხზე, თუ რატომ არის განათლება ეროვნული იდეა. განათლება ჩვენთვის ეროვნული იდეა იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა საქართველოს წინაშე არსებული ყველა გამოწვევის დაძლევისკენ, იმისკენ, რომ 21-ე საუკუნეში საქართველო ვაქციეთ წარმატებულ ქვეყანად და მე ამის ღრმად მნამს. ქართველ ერს აქვს უნიკალური ნიჭი და პოტენციალი“, – განაცხადა პრემიერმა.

მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ წელს განათლების ბიუჯეტი 1,6 მილიარდი ლარია, მომავალ წელს – 2 მილიარდი გახდება, 2021 წელს – 2,5 მილიარდი, ხოლო 2022 წელს ის ბიუჯეტის მეოთხედს – 3,4 მილიარდ ლარს გაუტოვდება. მთავრობის მეთაურის თქმით, ბიუჯეტის მეოთხედის მიმართვა განათლებაზე, მომავალ თაობაზე, მასწავლებლებზე, პროფესორებზე, ახალგაზრდა მეცნიერებზე, იმ ხალხზე, რომლის მხრებზეც ქართული



სახელმწიფოებრიობა და საქართველოს მომავალი დგას, სწორედ ეროვნული იდეის განხორციელებას ემსახურება. პრემიერ-მინისტრმა ეროვნული იდეის ოპონენტებზეც ისაუბრა და მათ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები უწოდა.

„ჩემთვის გასაოცარია, რომ ასეთ ეროვნულ იდეასაც კი გამოუჩინდნენ ოპონენტები, სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები. სამწუხაროდ, საქართველოს უახლესი ისტორია უპასუ-

ხისმგებლო პოლიტიკოსების ქცევების ნათელი მაგალითია. ნამდვილად არ მინდოდა, რომ ამ ეროვნულ იდეას, რომელიც ყველას უნდა გვაერთიანებდეს, ასეთი ოპონენტები გამოსჩენოდა. მიუხედავად მათი პოლიტიკური დღის წესრიგისა, რომელიც სრულიად უპასუხისმგებლო და აცდენილია ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ ესეთებიც გაიმჩნენ. მსურს, თქვენს წინაშე ავიღო პასუხისმგებლობა, როგორც საქართველოს პრემიერ-

მინისტრმა, რომ ამ ეროვნულ იდეას ჩვენ აუცილებლად ბოლომდე მივიყვანო. სწორედ ეს ეროვნული იდეა იქნება ერთადერთი გარანტი იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი, მომავალი თაობა, ჩვენი ბავშვები იცხოვრებენ ერთიან და ძლიერ საქართველოში და მთელი მსოფლიო საქართველოს კიდევ ერთხელ აღმოაჩენს, როგორც ყველაზე ნიჭიერი და განათლებული ერის ქვეყანას“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



## მამუკა ბახტაძე: არჩევნები ყველგან ჩატარდება მშვიდობიან და თავისუფალ გარემოში და თავისუფალ გარემოში და თავისუფალ გარემოში

არჩევნები არა მხოლოდ ზუგდიდში, არამედ ყველგან ჩატარდება უმაღლესი სტანდარტით, მშვიდობიან და თავისუფალ გარემოში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ურუნა-ლისტებს ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებზე დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, როგორც საზოგადოება, ისე საერთაშორისო საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში საქართველოში არჩევნები ყოველთვის თავისუფალ გარემოში ტარდება.

„სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც მას სჩვევია, ცდილობს, თავისი აგრესიითა და რიტორიკით შეიტანოს დაძაბულობა საზოგადოებაში, რაც, მათ, ბუნებრივია, არ გამოუვათ. ეს არჩევნები ჩატარდება თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში. საზოგადოება და თითოეული ჩვენგანი, ისე როგორც საერთაშორისო საზოგადოება, კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში არჩევნები საქართველოში ყოველთვის ტარდება თავისუფალ გარემოში“.

## ნათია თურნავა: განათლება, მათ შორის, საზღვაო განათლება ჩვენი მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ბათუმში საქართველოს საზღვაო აკადემიას ეწვია, სადაც უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროცესსა და სასწავლო-საწვრთნელ ინფრასტრუქტურას გაეცნო. მინისტრი ასევე გაესაუბრა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

ნათია თურნავამ ხაზი გაუსვა პროფესია მეზღვაურის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისთვის. რა რაოდენობის კონტრიბუცია მოაქვთ მათ ქვეყნისთვის და ზოგადად, რა პერსპექტივები და სამომავლო გეგმები განხორციელდება ამ კუთხით.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ კითხვები უშუალოდ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებისთვის დაესვათ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს მეზღვაურობა საზღვაო აკადემიის რექტორმა ირაკლი შარაბიძემ გაუწვია. მასთან ერთად, სასწავლებელში იმყოფებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი თამარ იოსელიანი.

„დავათვალიერეთ ბათუმის საზღვაო აკადემია. გავეცანი პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. ბათუმის სასწავლებელი, რომელიც 1901 წელსაა დაარსებული, ძალიან დიდი ტრადიციის მქონე აკადემიაა. სასწავლებლის ადმინისტრაციას ამბიციური გეგმები აქვს სასწავლო პროცესის სრულყოფის მიმართულებით, რაც შრომის საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მოთხოვნით არის განპირობებული. ჩვენ საზღვაო აკადემიას ამბიციური გეგმის შესასრულებლად მხარში დაგუდგებით“, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

„განათლება ჩვენი მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია და სწორედ ასეთი კონკრეტული პროგრამების მხარდაჭერითა და დაფინანსებით შედგება ჩვენი სამომავლო, მძლავრი საგანმანათლებლო პროგრამები და ბიუჯეტი“, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

**მაგთი მარეტი**

**8585 OK**

**პარიტივი 5**

**უღიბითი**  
მაგთის მობილურ ქსელში

**უღიბითი**

**1000 მბ**  
4.5 G ინტერნეტი

www.magticom.ge

მთელი კვირა 5 ლარად





⊙ უნდა გამოვიყენოთ აზრი და ქარიც

„2030 წლის ელექტროენერჯის მოხმარება 22 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზარდება, რაც დღევანდელი რესურსის 30-40%-ით გაზრდას ნიშნავს. ამდენად, მნიშვნელოვანია ჰიდროსადგურების როლი.“ – განაცხადა ენერჯეტიკის ყოფილმა მინისტრმა დავით მირცხულავამ, რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტი“ დრო ლევან ქისტაურთან ერთად.

„ეკონომიკის განვითარებასთან უნდა სდევდეს ენერჯეტიკის განვითარება. ტენდენცია ასეთია, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში – ენერჯომოხმარება იზრდება. ზრდა ძირითადად განვითარებად ქვეყნებზე მოდის, როგორცაა აფრიკის ქვეყნები, ლათინო ამერიკა, ინდო-ჩინეთი. პარალელურად, ინტერესი იზრდება განახლებადი ენერჯის გამოყენებაზე და მისი ჩანაცვლების პერსპექტივებზე. მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური განვითარება საშუალებას გვაძლევს, მოვაგვაროთ ენერჯის შენახვასთან დაკავშირებული პრობლემები.

საქართველოში ენერჯომოხმარების ინტენსიური ზრდა აღინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ იზრდება იმპორტი და იზრდება ენერჯოდამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებზე. ელექტროენერჯის იმპორტზე დამოკიდებულება მაქსიმალურად ზამთარში იზრდება. თუმცა, მოხმარება უკვე გაზრდილია ზაფხულის პერიოდშიც. 90-იან წლებს თუ შევადარებთ, ზაფხულის პერიოდში საქართველო, პირიქით, ექსპორტი-

# დავით მირცხულავა: საქართველოს ენერჯომოხმარება მეზობელ ქვეყნებზე იზრდება



ორი ქვეყანა იყო და ენერჯია გადიოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ენერჯის სიჭარბე არსებობდა. თუმცა, ახლა უკვე ზაფხულში მოხმარების ზრდაც ინტენსიურ ფაზაშია გადასული, რაც გამოწვეულია, მაგალითად, ტურიზმის განვითარებით.“ – აღნიშნა დავით მირცხულავამ.

ენერჯეტიკის ექსპერტის თქმით, მოკლე პერიოდში საქართველოში 21 ჰესამდე აშენდა, თუმცა ეს ტემპი არ არის საკმარისი. უნდა გამოვიყენოთ ყველა რესურსი, მათ შორის, მზე და ქარი. „2030 წლისთვის დომინან-

ტი ისევ ჰიდრორესურსი იქნება, რადგან იგი ძალიან ჭარბად გვაქვს. რამდენიმე წყალსაცავის აშენება აუცილებელია. ტყიბულში ნახშირის ათვისებასთან დაკავშირებული პროექტიც სწორედ სახელმწიფოს მიერ საკუთარი რესურსების ათვისების ერთ-ერთი მაგალითია. აუცილებელია, დაცული იქნას გარემოსდაცვითი პირობები და პარალელურად, ენერჯოვალენტობის ტენდენციის მიხედვით, ქვეყანამ ყველა რესურსი უნდა აითვისოს. ყურადღებას გავამახვილებ ახლანდელ

ლობისა და გარემოსდაცვით უსაფრთხოებაზე, ამ მხრივ ყველაზე მაღალი სტანდარტები უნდა დაინერგოს. მიმაჩნია, რომ, რადგან სადგურების ათვისების პრობლემა გვაქვს, ეი პრობლემა არსებობს მოსახლეობასთან კომუნიკაციაშიც. საჭიროა ამ მხრივ სოციალური საკითხების გადამწყვეტა, ვფიქრობ, შეიძლება, ეს ყოველივე საკანონმდებლო დონეზეც დარეგულირდეს. აუცილებლად უნდა შეეხოს კონკრეტულ თემს, რეგიონს. ის ბენეფიტები, რასაც მოიტანს სადგურების მშენებლობა, თითოეულმა ოჯახმა უნდა იგრძნოს მრავალწლიანი სარგებელი.

ჰიდროელექტროსადგურების მხრივ, ვფიქრობ, ყველაზე ეფექტური ხუდონჰესია, ის ეროვნული ბანკის ფუნქციას ასრულებს და აქვს ყველაზე იაფი ენერჯია. მას თითქმის ორი ჟინვალჰესის პოტენციალი აქვს. ასევე, აუცილებელია ნენსკრაჰესის მშენებლობა. დღეს ჩვენი წლიური მოხმარება 14 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს, აქედან ხუდონჰესს – მილიარდნახევარი, ნენსკრაჰესს



– მილიარდ ორასი, ნამახვანს კი მილიარდ ოთხასი კილოვატსაათის გამოშვება შეუძლია. ეს სადგურები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ, 2030 წლის პროგნოზით 22 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზრდება მოხმარება, რაც 30-40%-ით გაზრდას ნიშნავს. ამდენად, მნიშვნელოვანია ჰიდროსადგურების როლი.

ინვესტიციებს ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად უნდა შევეწყოთ ხელი, გარკვეული სახის სტიმულირებაა საჭირო. ევროპაში მრავალი მოდელი განხორციელდა, მაგალითად, გერმანიაში აღწესდა ტარიფები არსებობს. გარკვეული სიდიდის ჰიდროელექტროსადგურებს უნდა მიეცეთ გარანტიები, რაც შესყიდვების ხელშეწყობაში გაიხსნება. აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ სტიმულირების მექანიზმები, – ამბობს დავით მირცხულავა. **კომერსანტი**

⊙ რა შეიცვლება ბაზარზე?

## იაფი ყაზახური სორბალი საქართველოში ბრუნდება

დღევანდელი ვაზარზე შემდეგ საქართველოს ბაზარზე ყაზახური სორბალი ბრუნდება. საქართველოს მთავრობის ვიზიტმა შუა აზიურ ქვეყანაში კარგი შედეგი გამოიღო. შედარებით იაფი ყაზახური პროდუქტის შემოსვლის შემდეგ საქართველოში პურის გაძვირების საკითხი მოიხსნება და დროთა განმავლობაში, შესაძლოა, მენარმეებმა ფასის შემცირებაც იფიქრონ.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, ქართულ ბაზარზე ყაზახური სორბლის დაბრუნების საკითხში სერიოზული წინსვლაა. საქართველოსა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრების დონეზე საბოლოოდ შეთანხმდა საქართველოში ყაზახური სორბლის იმპორტის საკითხი.

„დღეს ქართულ ბაზარზე ძირითადად რუსული სორბალი დომინირებს, რაც არ ნიშნავს დივერსიფიკაციას და არ არის მაინცდამაინც სახარბიელო. ჩვენ საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ყაზახური მხარე ფინანსურ დახმარებას გაუწევს და დაასუბსიდირებს სორბლის გადაზიდვას თავის ტერიტორიაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ყაზახური სორბალი საქართველოში უფრო დიდი მოცულობით შემოვიდეს და შედარებით ხელმისაწვდომ ფასად. ეს ზოგადად მოხსნის ამ სტრატეგიული პროდუქტის ბაზარზე მონოპოლიის პრობლემას“, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

ნათია თურნაძე საქართველოში დაბ-



რუნებისთანავე გეგმავს შეხვედრების დაწყებას მესობრლებთან და ასოციაციებთან, რათა იმპორტიორებმა ისარგებლონ ამ ახალი შესაძლებლობით.

საქართველოს ბოლო სამი წელია, სორბლის 90% რუსეთიდან შემოაქვს. ერთი ტონა მარცვლეული დაახლოებით 244 აშშ დოლარი ღირს. ეს საქართველოსთვის ამჟამად ყველაზე მისაღები ფასია. შუა აზიური სორბალი 260 დოლარი ჯდება, თუმცა რადგან ყაზახურმა მხარემ ტრანსპორტირების სუბსიდირება თავის თავზე აიღო, პროდუქტის თვითღირებულება შემცირდება.

სორბლის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგავა დადებითად აფასებს ყაზახური სორბლის ბაზარზე დაბრუნებას. მის აზრით, პურპროდუქტების მწარმოებლებს მეტი შესაძლებლობა გაუჩნდებათ.

„ეს კარგი მოვლენაა, რადგან 4-5 წლის წინათ ყაზახური სორბალი ქართულ ბაზარზე საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი. მას ბაზრის 30-40% ეკავა. თუ ეს მექანიზმი ისევ ამუშავდება, ყაზახური სორბალი რუსულ სორბალთან ერთად გაიყიდება, რაც ბაზრის დივერსიფიკაციას გააძლიერებს და დადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება. გასათვალისწინებელია, რომ გადაზიდვის კომპონენტში რკინიგზა ერთგვარადაა.“

სულაც არ ვფიქრობ, რომ ყაზახური სორბალი რუსულ სორბალს მთლიანად ჩაანაცვლებს. თავისუფლად შეიძლება ჩვენს ბაზარზე ორივე ქვეყნის მარცვლეული იყოს წარმოდგენილი. ეს ერთმეორეს ხელს არ უშლის, თუნდაც იმიტომ, რომ წისქვილკომბინატებს შეუძლიათ ენ. კუბაჟი გააკეთონ: რუსული სორბალი ყაზახურს შეურიონ და საკმაოდ კარგი სორბალი მიიღონ, რომლითაც მაღალი ხარისხის ფქვილს გამოუშვებენ“, – აცხადებს სილაგავა.

ბექა დანელია



## ფოთის თეატრის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილ პროექტში სარკვევები იყო

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ თეატრში მიაჩნია, რომ თეატრის რეაბილიტაციისთვის საპროექტო გეგმა ხარვეზებით შედგა, რამაც სამუშაოების ვადა შესაძლოა, კიდევ გააჭიანუროს.

დირექტორის თენგიზ ხუხიას თქმით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოების განხორციელებისას პრობლემებს წააწყდა, რომელთა მოგვარებაც პროექტით გათვალისწინებული არ არის.

„თეატრის შენობაში ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. პირველ რიგში უნდა მოახდინოს იმის დემონტაჟი, რაც გამოსაცვლელია. გუშინ ყველამ ერთად ვნახეთ, რომ არა მხოლოდ ის, რაც ნაჩვენებია იყო საპროექტო სამუშაოებში, დამატებით გამოჩნდა ბევრი ხარვეზი. ამიტომ გადაწყდა, რომ კიდევ ერთხელ გადახედვეთ ყველაფერს და დადებენ იმ სურათს, რაც რეალურია. შეცდომა,

რომელიც ამ შენობის მშენებლობისას იქნა დაშვებული, უნდა გამოხსნოდეს“, – განაცხადა თენგიზ ხუხიამ.

როგორც ირკვევა, თანხები მხოლოდ შენობის დემონტაჟისთვისაა გამოყოფილი, სრული რეაბილიტაციისთვის საჭირო ფინანსები ჯერაც არ არის მოძიებული. მერიაში აცხადებენ, რომ საკითხს შეისწავლიან და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ფოთის თეატრის მშენებლობა ცხრა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან დაახლოებით 12 მილიონი ლარი დაისარჯა. თუმცა, თეატრში არაერთხელ ჩავიდა წყალი, ორი წლის წინათ კი ჭერი ჩამოინგრა. შენობა ავარიულია და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. თეატრალური დასი მუშაობას ფოლკლორის ცენტრის შენობაში აგრძელებს.

# დავით ბარაჯი: ვინ ცდილობს აზერბაიჯანელისა და ქართველის გადამტყობნას?




**...მიხსით ნებისმიერ პრესს და ვინც იტყობს და მას ისტორია ეძებება! ნიკო კახსოვალი**

დავით ბარაჯის კუთვნილების თემაზე დაწყებული კამათმა საგანგაშო სახე მიიღო სოციალურ ქსელებში. აქტიურობა ტროლებიც და დაპირისპირებას ალვიკებთან ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის. გავრის-თვის ცხადია, რომ სტრატეგიული პარტნიორობის გადამტყობნა რუსეთის ინტერესებში შედის.

## ლანძვა, ბინება, შეურაცხყოფა, მუქარა

...ფოტო ფაილსა და 13 მაისს გამოჩნდა — ორ მამაკაცს ბაქოს ცენტრში გაშლილი აქვს პლაკატი წარწერით: „დავით ბარაჯი საქართველოა“. ფოტოს, რომელიც პორტალმა „1news.az“-მა გაავრცელა, 1000-ზე მეტი კომენტარი აქვს.

ფეისბუქმომხმარებლები, ქართული და აზერბაიჯანული გვარებით, ერთმანეთს დავით ბარაჯის სა-



მონასტრო კომპლექსს ეცილებიან და შიგადაშიგ ბრძოლისთვის მზადყოფნასაც გამოხატავენ:

- ქართველები მტკიცედ იცავენ პოზიციას, რომ დავით ბარაჯი საქართველოს უძველესი ისტორიული ძეგლი და სულიერების აკვანია;
  - აზერბაიჯანელები კი მტკიცედ იცავენ პოზიციას, რომ დავით ბარაჯი მათი წინაპრების, ალბანელების დანაშაულია და ასევე უძვირფასესია მათთვის;
  - ქართველები და აზერბაიჯანელები ერთმანეთს აბრალებენ, რომ ისტორია გაყალბებული აქვთ და სინამდვილეში არაფერს წარმოადგენენ.
- შეურაცხყოფილი სიტყვებით, გინებითა და მუქარით გაჯერებული დაპირისპირება პიკს მაშინ აღწევს, როდესაც დისკუსიის მხარეები პრეტენზიას არა მხოლოდ დავით ბარაჯზე აცხადებენ.
- მაგალითად, ერთმა აზერბაიჯანის კუთვნილებად მოიხსენია საქართველოს ტერიტორიები, მათ შორის — ქარელი, თეთრიწყარო, გორი და თელავი;
  - სწრაფად უპასუხა მეორემ: კახი, მინგეჩაური და გაბალა საქართველოსიაო.
- კომენტარებში იკითხება მუქარაც, რომ, მაგალითად, საქართველოდან გაყრის აზერბაიჯანელებს, ხოლო აზერბაიჯანიდან — ქართველებს.
- მწვავე რეაქციები მოსდევს სომხური გვარის ფეისბუქმომხმარებლების კომენტარებს და მით უმეტეს, როცა ისინი წერენ — დავით ბარაჯი საქართველოაო.
- იშვიათად, მაგრამ მაინც, სალი აზრი გამოანათებს — ვიღაცები (ქართველები, აზერბაიჯანელები თუ სხვები) აშკარად ხედავენ, რომ ასეთი დაპირისპირება სასიფათოა, არ შეეფერება ორ მოძვე ქვეყანას და რომ წყლის ამღვრევა რუსეთის ინტერესებში შედის:
- ქართველებო, აზერბაიჯანელებო, თქვენ ერთმანეთის მისამართით განაშლავთ კრემლის ელემენტები... წუ

ილანძვებით, არ წამოგვით პროვოკაციებს, გონებას მოუსმეთ. მშვიდობა თქვენი

- ყველამ შესანიშნავად ვიცით, ვინ ცდილობს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის დანგრევას... გეყოფათ, მორჩა;
- კომენტარებს ვკითხულობ და ვხედავ — მტერს ჯერჯერობით ყველაფერი გამოსდის;
- რამდენი პრორუსული ტროლი შეგროვილა აქ... მაგრამ ცუდად მუშაობს FPV-ისტეპო. თქვენი ამოცნობა ადვილია. ვერ მოახერხებთ ხალხის დაპირისპირებას.

ორი მამაკაცის ფოტო არ არის დავით ბარაჯის თემაზე ფეისბუქსივრცეში გამოქვეყნებული ერთადერთი პოსტი, რომელიც მწვავე და სასიფათო კომენტარებით გამოირჩევა. ყველა შემთხვევაში აშკარაა, რომ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის სიძულვილს თესავენ გაურკვეველი ფეისბუქპროფილის მქონე მომხმარებლები — ტროლები.

„ულტრანაციონალისტური, ფაშისტური თუ სხვა არაადეკვატური ჯგუფების ნაკლებობას არც აზერბაიჯანი უჩივის და არც საქართველო. ამას შესანიშნავად გამოიყენებს რუსეთის ფედერაცია ყოველთვის, როცა დასჭირდება. ამ შემთხვევაშიც ასეა და ეს ძალიან საფრთხილია“.

პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ პასუხისმგებლობა ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ელიტებს ეკისრებათ, რადგან ისინი არასათანადოდ ელაპარაკებიან ხალხს და არა აქვთ გამოკვეთილი რეაქცია იმ ტიპის სასიფათო განცხადებებზე, რომლებიც საქართველოში, მაგალითად, ზოგიერთმა რელიგიურმა პირმა თუ პოლიტიკოსმა გააკეთა.

## რას უიქრობენ აზერბაიჯანში?

„ბარაჯის თემა აზერბაიჯანში თავდაპირველად არ იდგა ასე მწვავედ, მაგრამ გამწვავდა საქართველოში გაკეთებული განცხადებებისა და საპროტესტო აქციების შემდეგ“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი ილგარ ველიზადე.

ის ფიქრობს, რომ გადაადგილების სანმოკლე შეფერხებას საქართველოში მოჰყვა დავით ბარაჯის სა-მონასტრო კომპლექსის თემის მწვავე პოლიტიზირება. განსაკუთრებული სიმწვავეთ, ველიზადეს შეფასებით, გამოირჩეოდნენ:

- ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი;



● თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი.

ბაქოში კარგად იციან, რომ თუკი შალვა ნათელაშვილმა აზერბაიჯანი ოკუპანტ რუსეთს შეადარა და გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოითხოვა, ირაკლი ოქრუაშვილის ფეისბუქპოსტები უხეში და მუქარის შემცველი იყო აზერბაიჯანელების მისამართით. მათ ასევე იციან ქართველი სასულიერო პირების მიერ გაკეთებული განცხადებებისა და აზერბაიჯანის საელჩოსთან თუ დავით ბარაჯის გამართული აქციების შესახებაც.

ილგარ ველიზადე ამბობს, რომ საქართველოდან წამოსულ არასასიამოვნო იმპულსებს ექო მოჰყვა აზერბაიჯანშიც და გარკვეულმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა კონტრაქციები გამართეს.

მაგალითად, 8 მაისს გაიმართა აზერბაიჯანელი მოსწავლეების მსვლელობა დავით ბარაჯის — დროშებითა და შესაბამისი უნიფორმებით.

აზერბაიჯანულად დავით ბარაჯის ქეშიქჩიდალს უწოდებენ. ფეისბუქში შექმნილია სპეციალური გვერდი — „ქეშიქჩიდალი ისტორიულ-კულტურული ნაკრძალი“, სადაც ვრცელდება არაერთი აქციის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალები. ფეისბუქსაიტზე მითითებულია, რომ ეს არის სახელისუფლებო ორგანიზაცია, რომლის ვებსაიტზეც აზერბაიჯანის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია იყრის თავს. აქვე შემოთავაზებულია ვირტუალური ტური დავით ბარაჯის მიმართ.

ამავე წყაროდან ვიგებთ, რომ მოსწავლეთა მსვლელობის გარდა, დავით ბარაჯის ბოლო პერიოდში კიდევ არაერთი აქცია-მსვლელობა გაიმართა და არა მხოლოდ 25 აპრილის შემდეგ, მაგალითად:

- 27 მარტს გამოქვეყნებულია ვიდეომასალა — ახალგაზრდების მსვლელობა დროშებით;
- 18 აპრილს გამოქვეყნებულია ვიდეომასალა — ავტომობილების კოლონის გადაადგილებითა და შემდეგ უკვე ფეხით მსვლელობით.

როგორც წყარო იტყობინება, 18 აპრილს აქციის მონაწილეებმა დავით ბარაჯის ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე აღნიშნეს.

აქვე 28 მაისისთვის დაანონსებულია მასშტაბური ღონისძიება დავით ბარაჯის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დღის აღსანიშნავად

„ჩვენ არ გვაქვს ფაქტები იმისა, რომ გარე ძალა, ვთქვამთ — რუსეთი, ცდილობს აზერბაიჯანელებისა და ქართველების გადამტყობნას... დავით ბარაჯის საკითხი ემოციურად აღიქმება როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში და ჩვენ მოთმინებით უნდა შევხედოთ ამ მოცემულობას“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ აზერბაიჯანელი დეპუტატი რასიმ მუსაბეკოვი.

მისი აზრით, მთავარია ხელისუფლებათა რაციონალური პოზიცია:

- როგორც თბილისში, ასევე ბაქოში ინარჩუნებენ ფხიველ გონებას;
- ყველას ესმის, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ფასი განუსაზღვრელად მაღალია;
- მუშაობს საზღვრის დელიტიმიტაციის სპეციალური კომისია და ეს საკითხი მშვიდად, კეთილმეზობლურ ვითარებაში გადაწყდება;
- აზერბაიჯანი მზად არის, რომ მომლოცველებსა და სხვებს დავით ბარაჯის კომპლექსში გადაადგილების არანაირი პრობლემა არ შეექმნათ.

## რას უიქრობენ საქართველოში?

დავით ბარაჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე პატრულირებას აგრძელებს ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“.

როგორც მოძრაობის ლიდერმა დავით ქაცარავამ





ხარებს: იცით, ამ ფოტოზე მე ვარ! სასწაული გოგოა. ვეხუტები...

თოვლში მიმავალი დედაოები... მათი შავი სამოსელი ისეთ კონტრასტს ქმნის თოვლის სისუეტაკესთან, რომ უნებლიეთ გაფიქრებს სულიერ ცხოვრებასა თუ თოვლივით წარმავალ ხორციელ ყოფიერებაზე...

— ტერმინულს!!! — მეძახის ბუსის მძღოლი და ხელებს ჯვარედინ მდგომარეობაში მიჩვენებს... ვაი, შემრცხვა. მელს-მეთქო და ჩამოვდივარ ბოლო მგზავრი... არადა, იმდენია მოსაყოლი!

როგორც ჩანს, ამ პოსტს შინისაკენ მიმავალი პარიზელი

დიდხანს მუშაობდა ტელევიზორატორად ტელევიზიაში. მანამდე კი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ხელმძღვანელობდა კინონრეჟის. როგორც რეჟისორ-ოპერატორს, გადაღებული აქვს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომელთაგან ერთი — „წმინდა მინა ქართველ პილიგრიმთათვის“ მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალის ლაურეატიც გახდა. ფოტოპარატი კი ბავშვობიდან მისი განუყრელი თანამგზავრია და წლების მანძილზე არაერთი

რამ პარიზში უფრო კინოოპერატორის ფუნქციით ვიყავი ჩასული, — ამბობს ნინო სხირტლაძე, — ცნობილ დრამატურგთან და რეჟისორთან თამარ ბართაიასთან ერთად ვიღებთ დოკუმენტურ ფილმს კაბარეს მომღერალ ელგა ფორჩხიძეზე. დიდალი მასალა გადავიღე — ქალაქში, კაბარეში, ეკლესიაში, ლევილში... ჩვენი იქ ყოფნა ალდგომას დაემთხვა და ამან დამატებითი ფერები შექმნა როგორც ფილმის შინაარსს, ისე გადაღებულ მასალას. ეს ყველა-



# რეალური სამყაროს არტისტული ხედვა

## ნინო სხირტლაძის ფოტოების გამოფენა პარიზში

პარიზი მუდამ იყო და დღესაც რჩება ყველა ქვეყნისა და ყველა დარგის ხელოვანთა მიზიდულობის ცენტრად. სულ სხვა პარიზში გამართული სპექტაკლი თუ კინორეჟინა, პარიზში გამოცემული წიგნი, პარიზში მოწყობილი დეფილე, პრეზენტაცია, კინორეჟინა თუ გამოფენა.

ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი ნინო სხირტლაძისათვის პარიზის „გალერი არტესში“ მოწყობილი ფოტოექსპოზიცია. თავის პირველ გამოფენაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გაიმართა თბილისში, ნინო სხირტლაძის ნამუშევრებმა თემატიკის ფართო გეოგრაფიით მიიქცია ყურადღება — აქ იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოები. პარიზის გამოფენისთვის კი ფოტოგრაფმა მხოლოდ საქართველოში გადაღებული ფოტოები შეარჩია, თუმცა გეოგრაფია აქაც ფართოა — თბილისი, ბათუმი, რაჭა, ფშავ-ხევსურეთი, კახეთი, სვანეთი. წარმოდგინეთ პატარა პარიზელი გოგონას — ლილე დავრიშაშვილის გაოცება და სიხარული, გამოფენაზე მისულმა ერთ-ერთ ფოტოზე თავისი თავი რომ აღმოაჩინა. როცა ამ ფოტოზე მოხვდა, კიდევ უფრო პატარა იყო და დედამის სვანეთში ჰყავდა ჩამოყვანილი.

რიზში, „გალერი არტესში“... რეალური სამყაროს არტისტული ხედვა, მოგზაურობა ხელოვნებაში...

ჩემი ფავორიტი მსახიობი ქალის პორტრეტია შებრუნებულ ჩარჩოზე... არ იცი, წინ რა ნახატი, შეიძლება, წარმოიდგინო მხოლოდ ფერწერული ტილო ნებისმიერი სიუჟეტით, თუნდაც ნატურმორტი, ან პეიზაჟი, ან... უკან კი... უკან ქალი დგას, სამყაროს ღერძი, მუზა ყველა ხელოვანისა.

მესტიელი პატარა გოგონა ილიაში სახრეამორილი ბედნიერი სახით მისდევს ოჯახის მარჩენალ შავლაქებთან ფაქიზოს... მიახლოვდება ათიოდე წლის გოგონა და მა-

ქართველი ავტობუსში წერდა და რომ არა ბოლო გაჩერება, ალბათ, უფრო ფართოდაც გადმოსცემდა თავის შთაბეჭდილებებს.

ავტორის ფავორიტი მსახიობი, რომელიც ამ პოსტშია ნახსენები, მუსიკისა და დრამის თეატრის ცნობილი მსახიობი ნინო გომართელია, ნინო სხირტლაძის მეგობარი.

გამოფენაზე პორტრეტებთან ერთად წარმოდგენილია პეიზაჟებიც, ნატურმორტებიც, ჟანრობრივი სცენებიც.

ნინო სხირტლაძე განათლებით კინოდოკუმენტალისტი, რეჟისორი და ოპერატორი.

საინტერესო ნამუშევარი დაუგროვდა.

პარიზში ამ ნამუშევრების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, სულ 25 ფოტო იყო წარმოდგენილი, მაგრამ ისინი ისე იყო შერჩეული, რომ სრულ წარმოდგენას უქმნიდა გამოფენის სტუმარს როგორც ავტორის ფაქიზ შინაგან სამყაროზე, ისე მის პროფესიონალიზმსა და დახვეწილ გემოვნებაზე. ამიტომაც იყო, რომ გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებლებში, რომელთა შორის ბევრი იყო პარიზში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეც.

— გამოფენა გამოფენად, მაგ-

ფერი, ჩვენ მიერ თბილისში გადაღებულ მასალასთან ერთად, პროექტის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ეს არ არის თამარ ბართაიას და ნინო სხირტლაძის თანამშრომლობის პირველი შემთხვევა. მანამდე ნინო სხირტლაძემ ოპერატორად იმუშავა თამარ ბართაიას ფილმზე „მტკვრით მონამულელები“, რომელმაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა თბილისის შარშანდელ კინოფესტივალზე.

მათი ახალი პროექტის მთავარი გმირი ელგა ფორჩხიძე სულ რამდენიმე წელია, რაც პარიზში ცხოვრობს, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან შეძლო, რომ საკამო პოპულარობა მოეხვეჭა კაბარეებით განთქმულ პარიზში. იგი სოლისტია პარიზის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ძველისძველ კაბარეში „ო ტრუა მელეც“ („სამი ურო“).

ელგა ფორჩხიძემ საზოგადოებას თავი გააცნო აგრეთვე თავისი აქსესუარებით. იმავე „გალერეა არტესში“ გამართულ მისი აქსესუარების გამოფენა-გაყიდვას ბევრი დამთვალიერებელი და მყიდველი ჰყავდა. იქვე გაიმართა თამარ ბართაიას ფილმის ჩვენება და პიესების კრებულის პრეზენტაცია. ცნობილი დრამატურგის ავტოგრაფით დამშვენებული მისი ახალი წიგნი ამიერიდან პარიზელი ქართველების ბიბლიოთეკებსაც დაამშვენებს.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ სამი წარმატებული ქართველი შემოქმედის ერთობლივ ნამუშევარს — დოკუმენტურ ფილმს პარიზული კაბარეს ქართველ მომღერალზე.

რუსუდან ძოგულია



მარცხნიდან: ელგა ფორჩხიძე, თამარ ბართაია, ნინო სხირტლაძე



# თბილისის საკრებულო მუზეუმების საერთაშორისო კვირახალს უერთდება

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, მუზეუმების საერთაშორისო კვირახალს უერთდება, რომელიც თბილისის მუზეუმების კვირახალს უერთდება.

პროექტი თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან თანამშრომლობითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება.

„ამ ინიციატივის მიზანია მუზეუმების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაახლოება ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მათი ჩართვა შემოქმედებით-საგან-

მანათლებლო აქტივობებში“, — განაცხადა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა.

თბილისის მუზეუმებში მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა. შეიქმნა სისტემატიზირებული და კოორდინირებული მენეჯმენტი, მოხდა მუზეუმების მოდერნიზება და პოპულარიზაცია, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ვახტანგ ჭაბუკიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმებს. 18 მაისს კოტე და სოსო ნერეთელების სახელობის განახლებული მუზეუმი გა-

იხსნება. ასევე, მზადაა გალავტინის და შიო არაგვისპირელის მუზეუმების სარემონტო სამუშაოების პროექტები, რომელიც მიმდინარე წელს განხორციელდება. კვირახალის ფარგლებში, საკრებულოს 24 მუზეუმიდან დეპუტატის ჩართულობით, თბილისის ათივე რაიონიდან 500-მდე მოსწავლე დაათვალიერებს და ჩაერთვება მუზეუმებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში.







არც ერთი პარკინგი

რატომ არ ინტერესდებათ ინვესტიციები?

დედაქალაქში საპარკინგე ადგილების მოწყობით არაფერს ინტერესდება. მერია ცდილობს, ინვესტიციები დააგეგმოს...

მერიამ ბიზნესმენს ტერიტორია 27-წლიანი მართვაში გადასცა. მიწისქვეშა პარკინგი ფილარმონიის გვერდით...



კომპანია „იქს 2“-ის დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა ვალერიან კირკიტაძემ აცხადებებს...

„მოთხოვნის და ფასების გათვალისწინებით, აღნიშნული ობიექტი მომგებიანი ვერ იქნება...“

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პარკინგის მოწყობა ვერ ხერხდება. უფრო ადრე თბილისის მერიამ ინტერესის გამოხატვა ოთხ ლოკაციაზე...

„პარტიზონობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ გამგეობის დამფუძნებელი გელა კვაშილაძე მიიჩნევს...

„ფილარმონია ისეთი ადგილია, თუ იქ ინვესტიორს დაინტერესება არა აქვს, რასაკვირველია, ყურადღებას არ გამოიჩენს...“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ მერის დაპირების მიუხედავად, დედაქალაქში პრობლემა არ მოგვარებულია.

„პარკინგის მოგვარებას შეეცდებიან გადასახადის გაძვირების გზით. ასეთი მეთოდებისთვის მიუზარებელი სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს განვითარებული...“

გარდა ამისა, ახლავს შეიძლება 20-25 პროცენტი პარკინგის დაკარგული ადგილის დაბრუნება მძღოლებისთვის. ამ ადგილების დაბრუნებას ინვესტიცია არ სჭირდება, სჭირდება სწორი მენეჯმენტი და ამ დარღვევებზე რეაგირება.

გაბა დანელია



საქართველო

მიზიდული

სდება ე.წ.

დაუნშიფტერებისთვის

საპარტიზონო ვეროკავშირში შესვლას გეგმავს და მზადაა, დაიკავოს განსაკუთრებული ნიშა ვეროპულ სუფრასთან...

ამისთვის საქართველოს აქვს ყველაფერი - მშვენიერი ჰავა, ზღვა, იაფი უძრავი ქონება, გემრიელი და ხელმისაწვდომი სამზარეულო, კარგი ღვინო და სწრაფი ინტერნეტი.

საზღვრის გადაკვეთის შემდეგ აქ უცხოელებს ჩუქნიან ღვინოს. თუმცა, თავად ქართველები გარბიან ევროპაში, მათ შორის არააღვალურად, ამის მიზეზია სიღარიბე და უმუშევრობა.

ალბათ, ერთხელაც საქართველო მართლაც შევა ევროკავშირში, თუმცა, ერთი შეხედვით, ის ვერ შესთავაზებს ევროპელებს ვერაფერს საინტერესოს და ვერ მიიღებს ვერანაირ სარგებელს...

ევროპაში ქართული ღვინო ვერ გაიყიდება დიდი რაოდენობით, არც სხვა ქართული საექსპორტო პროდუქტს აქვს დიდი შანსები.

საქართველო ძალიან შეიყვარეს ტურისტებს, რაც არის იმის პირველი ნიშანი, რომ ბევრი უცხოელი მოინდომებს აქ დარჩენას არა მხოლოდ შვებულების პერიოდში.

2018 წელს საქართველოს, სადაც ცხოვრობს 3,7 მლნ. ადამიანი, 8,7 მლნ. უცხოელი ვიზიტორი ესტუმრა, რაც 15% მეტია 2017-ზე.

სტატისტიკა აჩვენებს ტურისტების ზრდას ევროპის ქვეყნებიდან. სწორედ ამ ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ, გახდნენ დაუნშიფტერები საქართველოში...

საქართველოში მათ იზიდავს უვიზო რეჟიმი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე

უბრალოდ ლოიალური. არანაირი რეჟიმი არ არსებობს - ქვეყანაში ყოველგვარი ფორმალურობების გარეშე შეიძლება ცხოვრება 1 წელი, შემდეგ საკმარისია რამდენიმე საათით საზღვრის გადაკვეთა და ისევ დაბრუნება.

საქართველო ასევე სამოთხეა იმათთვის, ვინც მუშაობს ინტერნეტით და ესაჭიროება მხოლოდ სწრაფი ინტერნეტი და მდგრადი მობილური კავშირი.

Speedtest Global Index-ში რუსეთი იკავებს მე-80 ადგილს (7 წუთი და 40 წამი ვიდრე ჩამოტვირთვაზე), ხოლო პირველ ადგილზეა ნორვეგია, რომელსაც საქართველო ჩამორჩება თითქმის 2-ჯერ.

საქართველოში ძალიან იაფია საჭმელი, მათ შორის რესტორნებში და კაფეებში, აქ თუნდაც 2 დღით ჩამოსული ტურისტები ბრუნდებიან სახლებში ისე, თითქოს გაატარეს თურქეთის „all inclusive“-სასტუმროებში ორი კვირა.

თუმცა, ქვეყანას ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია ჯანმრთელი ცხოვრების წესის მოყვარულებისთვისაც - ესაა „ბორჯომი“ და სხვა მინერალური წყლები, ასევე ზღვა, მთები და შესანიშნავი ადგილები სათხილამუროდ.

საქართველო ასევე არის ძალიან უსაფრთხო ქვეყანა კრიმინალის თვალსაზრისით, ასევე იქ ძალიან იაფია უძრავი ქონება, ხოლო გაფორმების პროცედურები - უმარტივესი, ბინის გაფორმება შესაძლებელია 1-2 დღეში.

არის მინუსებიც, რა თქმა უნდა. გონებისთვის სასურველია ცოტა უფრო მოკრძალებულად ჩაცმა, თანაც ზარმაცად გამსახურებელი რესტორნებში, თუმცა, სერვისის სისწრაფით არც სამხრეთ ევროპის ქვეყნებშია საქმე ბევრად უკეთესად.

სამაგიეროდ, ქართველებს არ დაუკარგავთ გულწრფელი და მხიარული სტუმართმოყვარეობა - აქაური მენტალიტეტის საფუძველი.

აეროპორტში ჩამოსვლებს ჩუქნიან ღვინოს და, შესაძლოა, ეს არის სახელმწიფოს მარკეტინგული სტრატეგია, თუმცა მაინც სასიამოვნოა - სოციალური ქსელები სავსეა ალტაცებული ტურისტების და დაუნშიფტერების კომენტარებით...

GAZETA.RU

\* დაუნშიფტერი - ადამიანი, რომელიც მზადაა, სიმშვიდის სანაცვლოდ მიატოვოს მაღალანაზღაურებადი სამუშაო და მდიდარი ქვეყნიდან უფრო ღარიბ ქვეყანაში გადავიდეს საცხოვრებლად.

აქონებანი ახალშემოსულ ხილსა და ბოსტნეულს

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები ახალშემოსულ ხილსა და ბოსტნეულს ამოწმებენ. პესტიციდების ნარჩენების კვლევის მიზნით, დედაქალაქსა და რეგიონებში, სარეალიზაციო ობიექტებიდან აღებულია ადგილობრივი და იმპორტირებული სურსათის ნიმუშები...



გამოკვლევული ხილ-ბოსტნეულიდან პესტიციდების ნარჩენების ნორმასთან შეუსაბამობა არცერთ ნიმუშში არ გამოვლენილა. სურსათის ეროვნული სააგენტო პესტიციდების ნარჩენების კვლევას ხილსა და ბოსტნეულში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ატარებს.

ლეგიონერი

ბითაქის მორიგი გაბრუნება

19 წლის ქართველმა კალათბურთელმა გოგა ბითაქემ სერბეთის ჩემპიონატში მორიგი სპექტაკლი დადგა. მისმა „მეგა ბე-მაქსმა“ შინაურ კედლებში „პარტიზანთან“ 81:90 კი წააგო, თუმცა, ქართველმა ტალანტმა ორმაგი დუბლი შეასრულა და მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.



ბითაქე, ტრადიციულად, სასტარტო სუთეულში გამოჩნდა და 29 წუთში 26 ქულა, 15 მოხსნა (3 შეტევაში) და 4 დაფარება მიითვალა. გოგამ 9-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 17-დან 13 საჯარიმო ჩააგდო, ბურ-

თი 4-ჯერ დაკარგა და 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთ-ბაშად 11-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 38-ს გაუტოლდა და ამ მხრივ მასთან მიახლოებაც კი ვერავინ შეძლო.

„მეგა ბემაქს“ 4 მოგება და 2 მარცხი მოუგროვდა და სერბეთის ჩემპიონატის B ჯგუფში სწორედ „პარტიზანის“ კვალად, მე-2 ადგილი უკავია. გოგას გუნდს მომდევნო შესვენდა ხვალ სტუმრად აუტსაიდერ „ნოვი პაზართან“ ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

სუპო



ლევან გომრბაძე კვლავ დაუმარცხებელია. ტორინოშიმა ნაცუ ბაშოზე მიჯრით მეექვსე ორთაბრძოლა მოიგო და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

ქართველი სუპოისტის მეტოქე სეკიკაკე იჩინოჯო იყო, რომელიც ჩვენებურმა დიდი წინა-

უდანაპარგოდ ლიდროს

აღმდეგობის მიუხედავად, მინც დაამარცხა.

25 წლის მონლოლმა ჩვენებურს მძაფრი ბრძოლა გაუმართა და, რომელიც გარდამავალი უპირატესობით წარმართა. დასაწყისშივე იჩინოჯომ ლევანი დოპოს კუთხესთან მიიმწყვდია, თუმცა, ტორიმ შეტევა მოიგერია და საბოლოოდ თავად გაიმარჯვა.

ურთიერთშეხვედრებში ეს ტორინოშინისა და იჩინოჯოს 21-ე დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც ქართველმა გოლიათმა 16 მოიგო, 5 კი წააგო. აქვე გეტყვი, რომ ტორიმ აზიელს ზედიზედ მე-7 შესხვედრა მოუგო.

ამრიგად, წლის მესამე სუპერტურნირზე ქართველს ექვსიდან ექვსი (!) გამარჯვება აქვს და ტურნირის მთავარი ფავორიტია.

განუხარ გომრბაძე

რაგბი ჩვენი თაგაშია!

პროპაგანდა „ბრივში“ ითაგაშებს

18 წლის ქართველი მორაგბე ვანო კარკაძე კარიერას ფრანგული პრო დ-ის ბინადარ „ბრივში“ გააგრძელებს. lamontagne.fr-ს ცნობით, მან ფრანგულივე „ორილიაკი“ დატოვა და ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ კარკაძე საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში გამორჩეული ფიგურა გახლდათ, შორს კი არც მისი ეროვნულ გუნდში დამკვიდრება უნდა იყოს. კარკაძე „ბრივში“ თავს ეულად ნამდვილად არ



იგრძნობს, რადგანაც იქ კახა ასი-ემვილი, სოსო ბეკოშვილი, ვასილ ლობჯანიძე, თედო აბუხანდაძე და ირაკლი ცხადაძე დახვდებიან, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი კი გოდერძი შველიძეა.

კობა კობახიძე

ჩოგბურთი

ნადალთან - უხანსოდ

ძარტმეზამ ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა რომის მასტერსზე (საპრიზო ფონდი 5 791 280 ევრო) მერვედფინალური მატჩი რაფაელ ნადალთან ჩაატარა და წარმატების შანსი არ ჰქონია - 1:6, 0:6.

ცხადი იყო, რომ ნიკას მე-2 ნომრად განთესილ გრუნტის მეფესთან ჩვენებურის მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომების სიმრავლე კი მეტოქეს საქმეს უადვილებდა.

ბასილაშვილს რაფას პირველივე მოწოდებაზე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა, თავისი მოწოდება კი აიღო და ანგარიში გაათანაბრა - 1:1. სამწუხაროდ, ამის შემდეგ საქართველოს პირველმა ჩოგანმა მიჯრით 11 (!) გეიმში წააგო და არაფერი უშველიდა, ბუნებრივია, განწირული იყო.

შეგახსენებთ, რომ მე-14 ნომრად განთესილმა ბასილაშვილმა INTERNAZIONALI BNL D'ITALIA-ის საწყის რაუნდში უნგრელი მარტონ ფუჩოვიჩი 6:1, 7:6 (7:2) დაამარცხა, შემდეგ კი სერბ ლასლო ჯერესაც ორ სეტში აჯობა - 7:5, 6:4. ამგვარად, ნიკას აქტივში 1925 ქულა დარჩა და ატპ-ს ლაივ რე-



იტინგში მე-18 ადგილზეა.

ერთი საინტერესო დეტალიც: ნადალმა რომის მასტერსზე იმ დღეს 2 მატჩი ჩაატარა და ფრანგ ჟურემი შარდისა და ბასილაშვილს ჯამში მხოლოდ 2 (!) გეიმი დაუთმო.

კახან დოლიძე

ფეხბურთი


რაც დათმისა...

ლეო მესის ტიტულები და რეგალიები არ აკლია, მაგრამ ის ჯილდო, რომელიც წლებადღეული სეზონის ფინიშზე გადაეცემა, სცდება სპორტულ ჩარჩოებს და არგენტინელ ჯადოქარს სულ სხვა რანგის თანამედროვედ წარმოგვიჩენს.

საუბარია წმინდა გიორგის ჯვრის ორდენზე, რომელიც კატალონიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ენიჭებათ.

აღსანიშნავია, რომ „ბარსელონას“ ლიდერი ლეგენდარული „მფრინავი ჰოლანდიელი“ იოჰან კრუიფის შემდეგ მხოლოდ მეორე ფეხბურთელია, ვისაც ასეთი პატივი ხვდა წილად.

გიორგი შოთაძე



ოლიმპიზმი



2020 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი კულტურული ცენტრი გახდება „ტოკიოს სახლი“, რომელიც განთავსდება ოცნების ხიდის და ოლიმპიური ცენტრის ფიალის სიახლოვეს.

ორგანიზატორთა აზრით, შერჩეული ადგილი ტურისტთა მაქსიმალურ რაოდენობას მიიზიდავს, რომლებსაც იაპონიის კულტურასთან შეხების, ადგილობრივებთან ურთიერთობის და ეროვნული სამზარეულოს დაგემოვნების საშუალება მიეცემათ.

„ტოკიოს სახლი“ სპორტსმენებს ელოდებათ საგანგებოდ მათთვის შექმნილი მენიუ და საინტერესო ლექციები. მაგალითად, ოლიმპიელებს ამომავალი მზის ქვეყნის მონინავე უნივერსიტეტები შესთავაზებენ შემეცნებით პროგრამებს.

ენჯიეთ „ტოკიოს სახლს“!

იაპონიისთვის ეს პირველი მსგავსი პროექტი არ არის. 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისას ნაგანოში ასეთივე კულტურის ცენტრი მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ „ტოკიოს სახლისა“ და ოლიმპიური ცენტრის სიახლოვეს შეჯიბრებები ჩატარდება ეგრეთ ნოდებულ ქალაქურ სპორტის სახეობებში (სკეიტბორდინგი, 3X3 კალათბურთი, BMX ფრისტაილი), რომლებსაც ოლიმპიური დებიუტი სწორედ ტოკიოში ექნებათ.

როსტომ ჩაჩველიძე

# ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი სააგენტოს მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი სააგენტოს მიზნით ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი №1  |   |
|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ ნიალის ეროვნული სააგენტო  |
| 1   | საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571  |
| 2   | მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14   |
| 3   | ელ-ფოსტა info@nam.gov.ge  |
| 4   | სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზია   |
| 5   | <p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მიმართულად.</p> <p>გ) გეოდეზიური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მიერ ფართობზე წელიწადში ინტერული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდეზიური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;</p> <p>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ლ) დაგული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p> |
| 6   | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი  |
| 7   | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა   |
| 8   | აუქციონის საწყისი ფასი  |
| 9   | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)   |
| 10  | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი  |
| 11  | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი  |
| 12  | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი  |
| 13  | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა   |
| 14  | სხვა მონაცემები   |

| ობიექტი №2  |   |
|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ ნიალის ეროვნული სააგენტო  |
| 1   | საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571  |
| 2   | მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14  |
| 3   | ელ-ფოსტა info@nam.gov.ge  |
| 4   | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია   |
